

**No. 54956\***

---

**Poland  
and  
Georgia**

**Treaty between the Republic of Poland and the Republic of Georgia on friendship and cooperation. Tbilisi, 20 April 1993**

**Entry into force:** *5 November 1999 by the exchange of the instruments of ratification, in accordance with article 19*

**Authentic texts:** *Georgian and Polish*

**Registration with the Secretariat of the United Nations:** *Poland, 1 February 2018*

*\*No UNTS volume number has yet been determined for this record. The Text(s) reproduced below, if attached, are the authentic texts of the agreement /action attachment as submitted for registration and publication to the Secretariat. For ease of reference they were sequentially paginated. Translations, if attached, are not final and are provided for information only.*

---

**Pologne  
et  
Géorgie**

**Traité d'amitié et de coopération entre la République de Pologne et la République de Géorgie. Tbilissi, 20 avril 1993**

**Entrée en vigueur :** *5 novembre 1999 par l'échange des instruments de ratification, conformément à l'article 19*

**Textes authentiques :** *géorgien et polonais*

**Enregistrement auprès du Secrétariat de l'Organisation des Nations Unies :** *Pologne, 1<sup>er</sup> février 2018*

*\*Aucun numéro de volume n'a encore été attribué à ce dossier. Les textes disponibles qui sont reproduits ci-dessous sont les textes originaux de l'accord ou de l'action tels que soumis pour enregistrement. Par souci de clarté, leurs pages ont été numérotées. Les traductions qui accompagnent ces textes ne sont pas définitives et sont fournies uniquement à titre d'information.*

[ GEORGIAN TEXT – TEXTE GÉORGIEN ]

## ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

პოლნეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის  
მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ

პოლნეთის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა, რომლებსაც შემდგომში "მხარეები" ეწოდება,

იცავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს, ადასტურებენ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თაობის დასკვნითი აქტის, ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტიისა და ევროპაში თანამშრომლობის სხვა დოკუმენტების პრინციპების მიმართ თავიანთ ერთგულებას,

დარწმუნებულნი არიან ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თაობის მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სამართლიანი და მტკიცე წესრიგის შექმნის აუცილებლობაში,

ანგარიშს უწევენ ამ ტერიტორიაზე მშვიდობის, უშიშროების, თანხმობისა და თანამშრომლობის შენარჩუნებაში თავიანთ საერთო ინტერესებს და ერთობლივ პასუხისმგებლობას,

სურთ როგორც ორმხრივი ურთიერთობის საფუძველზე, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ჩარჩოებში თანამშრომლობის განვითარება,

დარწმუნებულნი არიან, რომ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თაობის მონაწილე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა კეთილშეზობლობის პრინციპმა უნდა მოაწესრიგოს,

ისწრაფვიან პოლნეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის მეგობრული თანაარსებობისა და მჭიდრო თანამშრომლობის საფუძვლის შექმნას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## მუხლი 1

1. მხარეები ურთიერთობას აყალიბებენ საერთაშორისო სამარ-  
თაღზე, კერძოდ, სუვერენიტეტის, პატივისცემის, საზღვრების ურღ-  
ველობის, ტერიტორიული მთლიანობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლ-  
ობის პრინციპებზე დაფუძნებულ ერთმანეთის პატივისცემის, ნდობის,  
თანასწორუფლებიანობისა და პარტნიორობის სულისკვეთებით.

2. მხარეები ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თა-  
ბირის წევრ ქვეყნებს შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და  
დაწესებულებების ფარგლებში თანამშრომლობის განვითარებისათვის  
ხელსაყრელ პირობებს შექმნიან.

## მუხლი 2

1. მხარეები ვალდებულებას იღებენ, სადავო საკითხები გადაჭ-  
რან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად -  
განსაკუთრებით მშვიობლიანი ხერხებით და ადასტურებენ, რომ ერთ-  
მანეთთან ურთიერთობისას თავს შეიკავებენ ძალის გამოყენების, ან  
მისი გამოყენების მუქარისაგან.

2. თითოეული მხარე ვარანტიას იძლევა, რომ მისი შეიარაღებუ-

ლი ძალების მოქმედება შეესაბამება საერთაშორისო სამართალს, გავრთიანებული ვრების ორგანიზაციის წესდებას, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტს, ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტიას და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სხვა დოკუმენტებს.

### მუხლი 3

1. ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შესაბამისი დოკუმენტების დებულებების თანახმად, მხარეები ევროპასა და ამიერკავკასიაში უსაფრთხოების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად ითანამშრომლებენ.

2. მხარეები უშიშროებისა და ნდობის განსამტკიცებლად განახორციელებენ საერთო-ევროპულ შეთანხმებულ ღონისძიებებს. აუცილებლობის შემთხვევაში მხარეები ასეთი სახის დამატებით ღონისძიებებს ერომანუთთან შეთანხმებენ.

### მუხლი 4

1. მხარეები აქტიურად შეუწყობენ ხელს ბირთვული იარაღის შემცირების პროცესს და იმოქმედებენ ქიმიური იარაღის მთლიანი აკრძადვის მიმართულებით.

2. მხარეები თვლიან, რომ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების განხორციელება და თავდაცვისათვის საჭირო ღონემდე მათი შემცირება ხელს შეუწყობს ევროპასა და

ამიერკავკასიაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას.

3. მხარეები თანამშრომლობენ მასობრივი მოსპობის იარაღის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული რეჟიმის განსამტკიცებლად, განსაკუთრებით, ევროპისა და ამიერკავკასიაში.

ამასთან დაკავშირებით მხარეები ყოველ ღონეს იხმარენ ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული ხელშეკრულების და საერთაშორისო ატომური ენერჯეტიკის სააგენტოს სისტემათა სრული გარანტიის უნივერსალიზაციისა და განმტკიცებისათვის.

4. მხარეები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კონკრული გაუწიონ იმ მასალების, ტექნოლოგიისა და დანადგარების ექსპორტს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის 1 და 2 პუნქტებში აღნიშნული იარაღის წარმოებისათვის.

ცალკე შეთანხმებათა საფუძველზე, მხარეებს აუცილებლობის შემთხვევაში სამხედრო სფეროს სხვა საკითხებზეც შეუძლიათ თავიანთი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

#### მუხლი 5

1. ისეთი ვითარების წარმოქმნისას, რომელიც რომელიმე მხარის აზრით, შეიძლება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების საქმეს ემუქრებოდეს და როცა ასეთი ვითარება ორივე მხარეს ეხება, მხარეები დაუყოვნებლივ ჩააგარებენ შესაბამის კონსულტაციებს იმ ღონისძიებების გამონახვის მიზნით, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად შექმნილი ვითარების გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა.

2. იმ შემთხვევაში თუ მესამე სახელმწიფო ან მესამე სახე-